

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ივერია“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები (მოგება - ზარალი)

1. შესავალი	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. საოპერაციო დაანგარიშგების ვალუტა	7
4. ძირითადი საშუალებები	8
5. ცვეთა	8
6. არამატერიალური აქტივი	9
7. საინვესტიციო ქონება	9
8. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
11. ამონაგები	12
12. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	12
13. მოგების გადასახადი	13

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,940	239,873	124,773
სავაჭრო მოთხოვნები	3,038,498	2,298,800	1,982,163
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	19,517	513,031	26
მარაგები	102,966	154,549	264,750
- მზა პროდუქცია	28,920	21,607	16,013
- სხვა	74,046	132,942	248,737
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	28,209	30,111	32,014
ძირითადი საშუალებები	1,344,948	1,592,785	1,854,270
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	4,572,078	4,829,149	4,257,996

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	3,012	1,500	
სავაჭრო ვალდებულებები	2,689,009	3,163,972	3,346,084
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		89,318	23,560
საგადასახადო ვალდებულებები	45,672	30,836	68,990
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,962,987	1,346,114	1,265,977
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები		591,075	361,404
სულ ვალდებულებები	4,700,680	5,222,815	5,066,015



საკუთარი კაპიტალი			
საქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1,921,575	1,921,575	2,241,575
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(2,050,177)	(2,315,241)	(3,049,594)
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(128,602)	(393,666)	(808,019)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,572,078	4,829,149	4,257,996
სულ მოგება დანი აქტები	499,330	435,306	0
სულ მოგება დანი ვალდებულებები	759,019	948,168	0

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2020
ნეტო ამონაგები	4,406,200	5,069,244
საქონლის გაყიდვიდან	5,351,887	5,016,940
მომსახურების გაწევიდან	54,313	52,304
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

გაყიდვების თვითღირებულება	2,686,385	3,186,486
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	1,719,815	1,882,858

სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	95,590
დასაქმებულთა ანაზღაურება	(475,251)	(967,461)
ცვთა/ ამორტიზაციის ხარჯი	(230,163)	(279,403)
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	(39,890)	(84,267)
იჯარის ხარჯი	(77,998)	(46,277)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(622,458)	(797,309)



სულ საოპერაციო ხარჯები	(1,445,760)	(2,079,127)
საოპერაციო მოგება	(274,055)	782,980
გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(274,055)	(196,369)
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(274,055)	(196,369)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უმრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(274,055)	(196,369)

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(393,666)	(808,019)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(8,991)	610,722
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(128,602)	(393,666)

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3,715,419	5,845,294
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(4,054,877)	(5,572,162)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(339,458)	273,132



ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	137,525	(158,032)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	239,873	124,773
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	37,940	239,873

შპს „ივერია“-ს, ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. შესავალი

ორგანიზაცია და მისი ოპერაციები

შპს „ივერია“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2013 წლის 2 ოქტომბერს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 405012310;

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელი არის ფიზიკური პირი გიორგი მუხაშვილი პ/ნ 24001004847

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცის პროდუქტების წარმოება და გადამუშავება, საცალო საბითუმო ვაჭრობა- რეალიზაცია.

შპს „ივერია“-ში დასაქმებულია საშუალოდ 90 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღებაექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია : ქ. თბილისი, რომან ჭელიძის მე-2 გას, 10

რეგისტრირებული მისამართი თბილისი, საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს.ჩიქოვანის ქ., № 31

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსსფასს სტანდარტები) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2021



წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „აპექს“ 2016წლიდან დღემდე.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში(ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდი სმოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო და სალაროს ანგარიშებზე გათავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში საუკეთესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ



მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც აქტივები გამოსყიდულია, აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს. კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვით ღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებაში მისი მოხდენისთანავე.

5. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ან გარიშებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთისდარიცხვა იწყება მასმერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად დნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი

შენობა ნაგებობები

20 – 40 წელი



მანქანა დანადგარები

5 – 10 წელი

ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯიდასხვა

5 – 10 წელი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო	შენობა	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივი	ჯამი
საწყისი საბალანსო ღირებულება	325869	1173338	1607271	83004	44232	3233714
2020 წლის ცვეთა	30122	29333	158914	13554	1902	193703
ჯამური ცვეთა	271421	102787	1389959	80367	16023	1589136
ნარჩენი ღირებულება 31,12,2021	54448	1070551	217312	2637	28209	1373157

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. რომელიც 15 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

7. საინვესტიციო ქონება

-კომპანიას გააჩნია მიწა და შენობა-ნაგებობა რომლის ნაწილი გაქირავებულია ჩვეულებრივი საოპერაციო მოკლევადიანი იჯარით (არაფინანსური).

შპს „ივერია“ თავის საქმიანობას აწარმოებს საკუთარ შენობა-ნაგებობაზე.



-კომპანიას არ გააჩნია იჯარა რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, რადგან იგი (ფინანსური იჯარა) ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან. აქტივის გაუფასურების ზარალი მაშინ წარმოიშობა, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ან აზღაურებად ღირებულებას.

კომპანიის კუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგები ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე შედგება სხვადასხვა სახის ხორცპროდუქტებისგან, სუნელებისგან, შესაფუთი გარსაცმები, ეტიკეტები და სხვა მარაგებისაგან.

მარაგები კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები **2021 წლის 31 დეკემბერს** შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ლარში	31/12/2021
მზა პროდუქცია	28920
ნედლეული	72031
დაუმთავრებელი წარმოება	0
საქონელი	0
სხვა მარაგები	2014
სულ მარაგები	102966

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



	31/12/2021
მოთხოვნები მიწოდებიდან	2403368
მოთხოვნები მომსახურებიდან	76801
სხვა მოთხოვნები	577848
სულ მოთხოვნები	3058017

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მოკლევადიანი ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 / 12 / 2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2641388
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები (მომსახურება)	50634
არარეზიდენტი მომწოდებლები(მომსახურება)	
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	
სულ	2692022



11. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ამონაგები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან	4351887
მომსახურების გაწევიდან	52190
ჯამი	4404077

12. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.



13. მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

